ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 12-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტი

სხდომის მოწვევის თარიღი: 2023 წელი 11 დეკემბერს
სხდომის ჩატარების დრო: 14:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი № 3.

.

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-4 საკითხის („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“) თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ღია კენჭისყრის ჩატარების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-5 საკითხის („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“) თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ღია კენჭისყრის ჩატარების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1), ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის № 412678348) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალების: „ბოტანიკური ბაღისა“ და „ახალგაზრდობის პარკის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეას“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

11. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის № 412677269) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალის - „საცურაო აუზის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

საინფორმაციო ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე 12-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტით

განსაზღვრული საკითხების შესახებ

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში შესატანი ცვლილების შესახებ.

საჭირო გახდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემდეგი ცვლილების განხორციელება: გაიზარდა შემოსულობების გეგმა 1165,0 ათასი ლარით, კერძოდ, შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან გაიზარდა 1050,0 ათასი ლარით, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო -70,0 ათისი ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -45,0 ათასი ლარით.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის V ცვლილების პროექტის შემუშავებას საფუძვლად დაედო „საქართველოს კონსტიტუცია“ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ გადასახდელებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტი.

https://shorturl.at/aeyT0

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხის თანახმად მოხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდის №03.01.21.284; შენობა №1-ის ფართობი - 32,35 კვ.მ) 2 (ორი) წლის ვადით, აუქციონის წესით სარგებლობაში გაცემა.

https://shorturl.at/dktyO

3.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ცვლილება შედის საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში

https://shorturl.at/gsL24

4. "ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ცვლილება შედის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში

https://shorturl.at/euzU8

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საკითხი ითვალისწინებს, მოქალაქე ლია ბუცხრიკიძის განცხადების დაკმაყოფილებას, რომელიც ითქოვს საკუთრებაში გადაეცეს იჯარის ფორმით არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია კიბის უჯრედი.

https://shorturl.at/mpyM3

6. „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ: 412678348) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალების „ბოტანიკური ბაღი“-სა და „ახალგაზრდობის პარკის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეა“-ს დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საკითხი ითვალისწინებს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ: 412678348) რეორგანიზაცია- გაყოფას. რის შედეგადაც მოხდება, მისი ფილიალების „ბოტანიკური ბაღი“-სა და „ახალგაზრდობის პარკის“ გამოყოფა და ახალ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირად „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეა“-დ დაფუძნება. დამტკიცების შემდეგ, ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეა“-ს შემადგენლობაში ფილიალის სახით გაერთიანდება „ბოტანიკური ბაღი“, ახალგაზრდობის პარკი“ და „ქუთაისის ცენტრალური ბულვარი (ბაღი)“.

https://shorturl.at/huBX0

7. „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ: 412677269) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალის „საცურაო აუზი“-ს გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“-ს დაფუძნების თაობაზე.

საკითხი ითვალისწინებს „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ: 412677269) რეორგანიზაცია- გაყოფას, რის შედეგადაც „საცურაო აუზი“ ახალ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირად „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ სტატუსით ჩამოყალიბდება.

https://shorturl.at/tDI13

8.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის რიგით სხდომაზე, განსახილველად წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

წარმოდგენილი იქნება პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის, ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში.

https://shorturl.at/lzISX

9. **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

https://shorturl.at/rzIJ1

შეტანილი ცვლილების თანახმად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური მანიშნებელი დაფებით გამოყოფილი იქნება ელექტრომობილების დასამუხტი ადგილი, მხოლოდ მისი დამუხტვისათვის საჭირო დროით. აიკრძალება ელექტრომობილების დასამუხტ საპარკინგე ადგილებზე სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალების განთავსება, გარდა ელექტრომობილებისა, მისი დამუხტვისათვის საჭირო დროით.

ელექტრომობილების დასამუხტ ადგილებზე სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალების (გარდა ელექტრომობილებისა დატენვის მიზნით) პარკირება ჩაითვლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესების დარღვევად და მასზე რეაგირება მოხდება, პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირის მიერ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.